№ 174
1877

# ივერია

№ 174
1903

ავგისტოს 15, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ავგისტოს 15, პარასკევი 1903 წ.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 17 ავგისტოს.

ვისაც ხელის ფული არ შემოუტანია, პირველ ავგისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ ავგისტოდგან წლის ბოლომდე

გაზ. „ივერია“

ჯდება 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 75 კაპ., 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

## საბუღალტერო კლასები

მიხეილის პროსპექტი, № 161.

რადგანაც ზოგმა ტფილისის ნოტარიუსებმა არა ერთხელ გვითხრა, მიგვეცა მათთვის საშუალება კომერციული ცოდნის შეძენისა, სიამოვნებით ვაცხადებთ ამ სურვილს და ვხსნით 15 ავგისტოდგან საღამოს კურსებს საკანტორო საქმეთა შესასწავლად შემდეგი პროგრამით:

1) ელემენტარული ანგარიში;
2) ორთამეტაგა საანგარიშოზედ;
3) კომერციული გამოანგარიშება;
4) საუჯრო ქაღალდების შედგენა (ანგარიში, ფაქტურა და სხვ.);
5) ნოქრების მიწერ-მოწერა [illegible].

კურსებზედ მიიღებიან ყველანი, ვინც წერა-კითხვა იცის, განურჩევლად ხნოვანებისა.

სწავლა იქნება საღამოობით ცხრის ნახევარ საათიდამ ათ საათამდე; ფასი თვეში 5 მანეთი, წლიურად—40 მან.

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ ბოლომდე 15 ავგისტომდე კლასების კანცელარიაში (მიხეილის პროსპ., 161), ყოველ დღე, საღამოს ცხრის ნახევარ საათიდამ 10 საათამდე, ანუ რუსული სარანსპორტო საზოგადოების კანტორაში—ო. ტერ-აირუმიანცთან.

დამაარსებელი კლასებისა ო. ბრიმ-ფონ-ბრეზენ. (6—3).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2.

## რობინზონ კრუზო

მეორე გამოცემა მრავალი სურათით. 162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დიდძალ შეძენა ფასდაკლებით: Тифлисъ, Общество грамотности.

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

თანხმად 1895 წელს 25-ს მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო რჩევის დადგენილებისა შესახებ იმისა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ დაუბრუნდეს ის ფული, რომელიც მათ ბანკის დასაარსებლად შეუტანიათ, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის კიერ დამტკიცებულ წესების მე-7ე მუხლის ძალით,—ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ამით აცხადებს, რომ ვისაც აქვს თავიანთი [illegible] ზაქარიას [illegible] ანგარიშის [illegible] საბანკო წარმოწერი [illegible] მანეთია (485 მან.), ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეუტანიათ, [illegible], ეს კვიტანცია წარმოადგინონ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანცელარიაში [illegible]; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი [illegible] ფული მიიღება [illegible] ამ კვიტანციით [illegible] წარმოდგენილ [illegible] ფული ზემოდ დასაბეჭდ [illegible] თავად-აზნაურთა სახელზე [illegible] საკუთრებად ჩაითვლება.

## კერძო სამკურნალო

### ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდან 10 საათამდე

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირ დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $8\frac{1}{2}$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

**ტფილისი 15 ავგისტო.**

წელს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ბანკის მოგებიდან ორი ათასი თუმანი გადასდო უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა სასტიპენდიოთ.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა სამოციან წლებიდან ებრძვის საუნივერსტეტო ქალაქებში ნივთიერად უკიდურესს შევიწროებას; ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა დაუუძლურებია ნივთიერ ხელმოკლეობას და უდროდ სიცოცხლეს გამოსალმებია; ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში ქართველს სტუდენტს რამდენი გაჭირვება განუცდია, მაგრამ ნივთიერი დახმარება საზოგადოებისაგან არ მიუღია; დახმარებას მოელოდა მარტოოდენ მშობლებისა და იშვიათად ზოგიერთ გულკეთილ კაცთაგან.

ამ ჟამად საქმის ვითარება სულ სხვანაირად დატრიალდა. ქართველმა საზოგადოებამ შეიგნო, რომ ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა მარტოოდენ მშობლების და ზოგიერთ ქველმოქმედთა მოვალეობა როდია, და კიდევაც რომ ამ რთულ და პასუხსაგების საქმის მოწესრიგება მარტოოდენ მშობლების მოვალეობაც იყოს, იგინი ამ სამძიმო მოვალეობის ღირსეულად აღსასრულებლად ნივთიერად უძლურნი არიან. ქართველმა საზოგადოებამ შეიგნო, რომ ახლგაზდობის სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა საზოგადო საქმეა.

სწორეთ ამ მოსაზრებით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ამ რამდენსამე წლის წინად განიზრახა ქართველთა შეუძლო სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსება. მართელია, ამ სახით საზოგადოების დაარსება იმ ჟამად ვერ მოხერხდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დაარსდა კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება.

მოთხოვნილებამ იმდენად იმატა, რომ მოხსენებული საზოგადოება ყველა ქართველ შეუძლო სტუდენტთა თხოვნას უსაღსრობისა გამო ვერ აკმაყოფილებს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ მხარი მისცა ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმის უკედ მოწესრიგების საქმეს და კიდევაც ამიტომ დაადგინა წელს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთათვის გადაიდოს ორი ათასი თუმანიო. თავად-აზნაურობის ასეთი დადგენილება დიდ-მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო მეტს ვიტყვით, საერო, საქვეყნო საქმეა. ამიტომ საჭიროა ამ საერო საქმეს თავიდანვე სასურველი ორგანიზაცია და მიმართულება მიეცეს, მით უმეტეს, რომ ამ დადგენილებას დროებითი ხასიათი არა აქვს, თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს, ყოველ წლივ გადასდოს ბანკის მოგებიდან ზემო-აღნიშნულის აზრით შეძლების დაგვარად საჭირო თანხა.

უპირველეს ყოვლისა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მართლაც დიდმნიშვნელოვან საქმედ გარდაიქცეს, აუცილებლად საჭიროა, ამ ფულიდან სტიპენდია ენიშნებოდეს მარტოოდენ ღარიბ და შეუძლო მოსწავლეს. ამ მხრივ საქმის მოვლა, თუმცა საძნელოა, მაგრამ შესაძლოა. საქართველო ისე დიდი ქვეყანა არ არის, რომ ამა თუ იმ მოსწავლის ქონებრივი ავლა-დიდების გაგება გაძნელდეს. როცა სტიპენდია ენიშნება რომელსამე მოსწავლეს, დროც ამასთანავე უნდა ისაზღვრებოდეს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ შესაძლოა რომელმამე სტუდენტმა დაამთავროს ესა თუ ის ფაკულტეტი, შემდეგ სტიპენდიის მოიმედე სხვა ფაკულტეტზე გადავიდეს, რომლის დამთავრება ოთხ-ხუთ წელიწადს კიდევ გასტანს.

დიდი უსამართლობა იქმნება, რომ ერთს რამდენისამე ფაკულტეტის დამთავრების საშუალება ეძლეოდეს, ხოლო მეორე უნივერსიტეტში შესვლას-კი ვერ ახერხებდეს. სასტიპენდიო დროს განსაზღვრას კიდევ ის მნიშვნელობა ექმნება, რომ სტუდენტი უფრო მეყაითად მოეპყრობა სწავლის საქმეს.

ჩვენდა საბედნიეროდ წლითი-წლობით ქართველ სტუდენტთა რაოდენობა მრავლდება, თავად-აზნაურობამ კიდევაც რომ ერთი-ორად გაადიდოს სასტიპენდიო თანხა, ყოველ წლიურ მოთხოვნილებას მაინც ვერ დააკმაყოფილებს. მრავალ ნიჭიერს ქართველს კიდევ დაეხშობა უნივერსიტეტის კარები. ამიტომ საჭიროა სასტიპენდიო თანხის გადიდება სხვა რაიმე წყაროთი.

ჩვენის აზრით, ერთად ერთ საიმედო წყაროდ სისტიპენდიო თანხის გასადიდებლად მიჩნეულ უნდა იქმნას ის საშუალება, რომ სტუდენტებმა, კურსის დამთავრების შემდეგ, როცა ცხოვრებაში გამოვლენ და საშუალებაც ექმნებათ, დაუბრუნონ სასტიპენდიო თანხავე ნაწილ-ნაწილად სტიპენდიათ მიღებული ფული. შიში იმისა, რომ კასას ფული არ დაუბრუნდებაო, ამ ჟამად უსაფუძვლოა, რადგან აწინდელი სტუდენტები ყოფილის სტუდენტების მაგალითით არ იხელმძღვანელებენ და ზოგიერთმა კიდეც რომ იხელმძღვანელოს მათ წინააღმდეგ საჭირო ღონის ძიების მიღება, სხვა რომ არა იყოს-რა იურიდიულ ნიადაგზე მაინც საძნელო არ იქმნება. რასაკვირველია, სასტიპენდიო თანხის გამგეთ ყოველ შემთხვევისათვის საჭირო საბუთებიც უნდა მოეპოვებოდეთ.

საქმის ამ რიგად მოწყობას დიდი ეტიკური მნიშვნელობაც ექმნება. სტუდენტის ზნეობრივ ფიზიონომიისათვის სასწავლო ფულის სესხად ან დაუბრუნებლივ საჩუქრად მიღება ერთი როდია. საჩუქრად მიღება ერთიორად სამძიმოა, ვიდრე სესხად აღება.

თავად-აზნაურობის ზემო აღნიშნული დადგენილების სასტიპენდიო თანხის დაარსების შესახებ საერო, საქვეყნო საქმედ აღვიარეთ და ეს დადგენილება თავის შედეგით ისეთაც გამოდგება, თუ რომ თანხის უმახლობელესნი გამგენი თავის სამოღვაწეო ასპარეზს ვიწრო წოდებრივ ფარგლით არ შემოხაზავენ. ჭეშმარიტად განათლებული ქართველი, გლეხი იქნება იგი, თუ თავადი ან აზნაური, ერთგვარად ძვირფასი და სანატრელია ჩვენის ქვეყნისათვის და ამიტომაც საქმის უაღრესი სარგებლიანობა და თვით სამართლიანობაც მოითხოვს, რომ სასტიპენდიო თანხის განაწილების დროს ქართველ ახალგაზდობის გონება-განვითარების საქმე ვიწრო წოდებრივ თვალთახედვის საზომით არ იზომებოდეს.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

სათავად-აზნაურო კომისიამ, რომელსაც უნდა გაენაწილებინა 24,000 მანეთი ღარიბ მოსწავლეთა სტიპენდიებათ, მრავალი თხოვნა განიხილა, ზოგი შეიწყნარა და ზოგიც უარ-ჰყო. სტიპენდია დაენიშნა შემდეგ ყმაწვილებს, რომლებმაც ამ წელს გაათავეს სწავლა საშუალო სასწავლებლებში: ქუჩუკაშვილი ნიკოლოზ, ნათაძე შალვა, ქარუმიძე პავლე, კლიმიაშვილი ნესტორ, ქვლივიძე ალექსანდრე, შათირიშვილი, დაფქვიაშვილი გიორგი, ხირსელი ილია, სლინკო დიმიტრი, შავერდოვი დანიელ, ბერიშვილი ავქსენტი, ჟურული ანტონ, იშხნელი გიორგი, ბურჯანაძე ერეკლე, ანდრონიკაშვილი ნიკოლოზ, ვაჩნაძე თამაზ, აბელაშვილი გრიგოლი, კორინთელი ნიკოლოზი, ქართველიშვილი ვახტანგ, სანგილაშვილი იროდიონ, ჯავახიშვილი დიმიტრი, ჯაფარიძე ანდრია, პოლტორაცკი ალექსანდრე, ციციშვილი ზაქარია.

ორი უკანასკნელი უკვე სტუდენტებად არიან. სტიპენდია დაენიშნა აგრეთვე ოლგა მირზაშვილის ასულსა და სოფიო მამრაძეს ასულს, რომლებიც საექიმო ინსტიტუტში უკვე სწავლობენ. კომისიამ დაადგინა მიეცეს დახმარება ივანე სარაჯიშვილს, რომელიც მოსკოვის კონსერვატორიაში მიდის გალობის კურსებზე. ამ რიგად თავად-აზნაურობა თავის ხარჯით ინახავს და დახმარებას აძლევს 58 ახალგაზრდას, რომელნიც მაღალ სასწავლებლებში არიან. ამათ გარდა კომისიამ შესაძლოდ დაინახა ახალგაზდა ექიმს ლუკა ჯავახიშვილს, რომელიც საზღვარ-გარედ მიდის ორის წლით, აძლიოს სესხად 1,200 მ. წელიწადში.

ამ თორმეტი წლის წინად საერო განათლების მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ საკვირაო სკოლები ეპარქიულ მთავრობას ექვემდებარება და დამაარსებელმა იმის ნება-რთვა უნდა აიღოსო. ეხლა მინისტრმა, სინოდის ობერ პროკურორის თანხმობით, წინანდელი განკარგულება შესცვალა და საკვირაო სკოლების დაარსება სამინისტროს დაწესებულებათ მიანდო.

ტფილისის სახელმწიფო თეატრში ცოტაოდნად უნდა გადაკეთდეს, მეტადრე ზემო სართულის ლოჟები, საიდგანაც სცენა რიგიანად არა სჩანს.

ქართლ-კახეთის ეპარქიაში 1901 წელს 575 ეკლესია ყოფილა, რომელ

საც საკუთარი მრევლი ჰყავს. ამათგან მხოლოდ 153 ეკლესიას ჰყოლია სამზრუნველო და [illegible] ვერ უვლიდნენ ეკლესიას და მრევლის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებდნენ. ამისათვის ეკზარქოსს [illegible] საქართველოს ეპარქიების [illegible] განკარგულება მოუხდენია, რომ სამზრუნველოები ყველგან დაარსდეს, რადგანაც სამზრუნველოს შეუძლიან დიდი დახმარება აღმოუჩინოს ეკლესიის კრებულს, გაამშვენიეროს ტაძარი, დაარსოს სამკითხველო, წიგნთ-საცავი, [illegible] და სხვ.

*** უმაღლესად ებოძათ წმ. ანნას ორდენი მესამე ხარისხისა: [illegible] წმ. გიორგის ტაძრის [illegible] [illegible] ტაძრის დეკანოზს ნესტორ [illegible], [illegible] ქუთაისის სასულიერო [illegible] ალექსანდრე [illegible]. წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი ებოძა [illegible] (იმერეთის ეპარქია) მღვდელს [illegible].

*** წევრი ტფილისის ქალაქის გამგეობის [illegible] [illegible] სამაზრო [illegible] წევრად.

*** ტფილისის გუბერნიის სახალხო განათლების დირექტორი ძმიტრიევი და მისი თანაშემწე პავლოვი მომრიგებელ შუაკაცებად ინიშნებიან ტფილისის გუბერნიის იმ მაზრებში, სადაც რუსები არიან დასახლებულნი („ახ. მიმ“).

*** 9 აგვისტოს ბორჯომში საცეკვაო საღამო იყო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. წმინდა შემოსავალი 850 მანათი დარჩენილა.

*** ტფილისის სახელმწიფო ხაზინას ცნობები მოსდის მაზრის ხარჯის მკრეფელ ინსპექტორისა იმის შესახებ, სად რამდენი დღის მიწა შეუმუშავებიათ სახნავ-სათესად. ეს ცნობები უნდა გაეგზავნოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტს, რომელიც გარდასახადებს ანაწილებს. დუშეთის მაზრაში წელს ნათესი ყოფილა 12,950 დესეტინა; თელავის მაზრაში—8,679 დესეტინა, თიანეთისაში —7,450, გორისაში—65,482 დესეტინა.

*** სამრევლო სკოლების მეთვალყურედ ქართლ-კახეთის ეპარქიაში დანიშნული იქმნა სტ. სოვ. ოდოევი, რომელიც ქ. ვიატკიდგან გადმოჰყავთ; სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გამწესდა ბ-ნი ნარბეკოვი („კავკაზი“).

*** ამ ოთხის წლის წინად სხდომა იყო ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობისა, რომელმაც გადასწყვიტა 400 მანათი გადაიდოს ღარიბ სტუდენტთა გზის ხარჯად. სხვა თხოვნენები სტუდენტებისა ამ ხნობით გამგეობამ ვერ დააკმაყოფილა.

*** უწმიდესმა სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ რადგან 1902 წლის 18 ივნისიდან სამღვდელოებას პენსია დაენიშნა, საეპარქიო მთავრობამ აღარ ითხოვოს დახმარება ისეთ მღვდელთათვის, რომელთაც პენსიის მიღების უფლება აქვთ მინიჭებული.

*** ამას წინად სადღაც გადიკარგა ქ. ფოთში მცხოვრები ალათია თათარიშვილი, რომელსაც განზრახული ჰქონდა დედათა მონასტერი დაეარსებინა ფოთის ახლო და რომელმაც პატარა ეკლესია უკვე აეშენა ქალაქს გარედ. ბოლოს დროს ეს ადამიანი ამ ეკლესიასთან განცალკევებით სცხოვრობდა. ამბობდნენ, ვითომც დიდი ფულის პატრონი იყო, და სწორედ ეს ხმები ყოფილა მის უბედურობის მიზეზი. როცა ალათია თათარიშვილი დაიკარგა, პოლიციამ გასინჯა მისი სადგომი და ყველაფერი არეულ დარეული ნახა. ერთი კვირაა, რაც დაეძებენ დაკარგულს, მაგრამ ვერ მიაგნეს, ვერც მკვდარსა და ვერც ცოცხალს. ეხლა-კი, როგორც „ტფ ფურც.“ ატყობინებენ, ფოთის პოლიციას წერილი მიუღია ტფილისიდან, რომ თათარაშვილის გვამი ეკლესიასთან არის ტყეშიო. მართლაც, იმ ადგილს უპოვნიათ უბედურის ძვლები და დაფხრეწილი ტანთ-საცმელი. მოკლულს მართლა კარგი შეძლება დარჩენია: ფული, თამასუქები და მოძრავი ქონება.

## † ივანე იოსების ძე ყაუხჩაშვილი.

14 ამ თვეს ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა სასაფლაოზე სამარეს მიაბარეს ადგილობრივის ქართველობის კარგი ნაცნობი ივანე იოსების ძე ყაუხჩაშვილი, 40—43 წლის კაცი.

განსვენებული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წარმომადგენელი იყო ჭიათურაში.

მისი მნიშვნელობა, როგორც კაცისა, მარტო ამ თანამდებობით არ განისაზღვრებოდა. თავდაპირველი სწავლა მან მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ წავიდა საფრანგეთში, სახელდობრ ლიონში, სადაც სპეციალურად შეისწავლა მეაბრეშუმეობა, ხოლო გზა-და-გზა ფრანგული ენა და ლიტერატურა. სამშობლოში დაბრუნებისას, მეოთხმოცე წლებში, სცდილობდა ცხოვრებაში გამოეყენებინა საფრანგეთში შეძენილი ცოდნა და შეძლებისადაგვარად ხელს უწყობდა ეგრედ საწადმართო საქმეს. «წიგნების გამომცემელთა სამეურნეო საზოგადოებას იშვიათად ჰყოლია იმაზე უფრო მხნე, ცოცხალი და ერთგული წევრი, არა-თუ მარტო თვით მომუშავე, არამედ სხვათაც გამამხნევებელი...

უმთავრესი ღვაწლი-კი განსვენებულისა, როგორც ქართველ ადამიანისა, იყო ეროვნულის შეგნების განმტკიცება ქართველ-კათოლიკეთა შორის, არა მარტო ქუთაისში, არამედ ახალციხეშიაც, სადაც მრავალი ნაცნობები და მოყვრები ჰყავდა. ეროვნულ შეგნებასთან ერთად ის სისტემატიურადავრცელებდა თავისს თანამორწმუნეთა შორის ქართულ რჩეულ წიგნებსაც. არა ერთსა და ორს „ფრანკს», ვიცნობ ისეთებს, რომელთაც ეროვნებისა არა სცოდნიათ რა და ქართული წიგნი არ წაეკითხათ, მაგრამ ი. ივს. ყაუხჩაშვილის მეოხებით, დღეს თავს ქართველადაც გრძნობენ და ქართულადაც სწერენ და კითხულობენ..

პატარა საზოგადოებაში პატარა კაცს მეტის არაჩვეულებრივის მოქმედების... (?)

თ. მამაძე

## ბ-ნი კლდიას მსჯელობის გამო.

«ივერიის» 168 ნომერში ბ-ნი კლდია სწერს, რომ იმერული ფორმები წევან და იყუენ არ არის ჩვენს მწერლობაში შესაწყნარებელიო. ამის დასამტკიცებლად ბ-ნ კლდიას ვითომდა «ქართულის ენის სამეცნიერო განხილვა» მოუშველებია, როგორც თვითონ ბრძანებს, და მოყავს დიდი სქემა, საიდანაც ვტყობილობთ, რომ სახელზმნისაგან წოლა მრავლობითი რიცხვის მესამე პირი წვანან იქნებაო. ეს იმისთანა «სამეცნიერო განხილვაა», როგორიც ერთს ქვაზი-ლინგვისტ პედაგოგს მოუხსენებია თავისი მოწაფეების ივის: სიტყვა «სხვერპლი» ფერფლისაგან წარმოსდგაო. როგორაო, ჰკითხეს მოწაფეებმა, და აი როგორაო, მიუგო ლინგვისტმა: ფერფლი—სხვერპლი, ფერფლი—სხვერპლი, ფერფლი—სხვერპლიო და გაკეთდა სიტყვა სხვერპლიო!.. «სამეცნიერო განხილვის» ძალით ბ-ნი კლდია ბძანებს, რომ ზმნა ვწევარ მიმღეობიანი ზმნა არისო და მრავლ. რიცხვის მესამე პირში წვანარნ (წვანარიან) უნდა ყოფილიყოვო და აქიდან წარმოსდგა წვანანო! უნებლიედ გაგონდება სოლომონ მეჯღანუაშვილის ამაო შრომა! ათასნაირათ გადაკეთა თავისი გვარი (მეჯღანუევიო, მეჯღანუანციო, მეჯღანუძეო - და სხვ. და სხვ.) მაგრამ არ იქნა, ეს ჯღანი ვერ მოაშორა და ვერა. გვეჩვენება, რომ ვწევარ მიმღეობიანი ზმნაა და მესამე პირში ბოლოში არიან უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მოშორებული წვან მაინც საიდან გაჩნდა, რატომ არ გვიბძანებთ?!

მრავლ. რიცხვის მესამე პირამდი წვან არსად არის (ვწევარ, წევხარ, წევს, ვწევართ, წევხართ) და მესამე პირში რატომ მიგაჩნიათ უსაშველოთ, რომ წვანან ვიხმაროთ?! არა, ბატონო კლდია, აქ «სამეცნიერო განხილვა» არაფერ შუაშია; მეცნიერება და კანონიერება, პირიქით, იმას თხოულობს, რომ წევან ვიხმაროთ, იმიტომ რომ მრავლობითი რიცხვის მესამე პირი მხოლობითის მესამე პირისაგან წარმოებს: ისა სწერს—ისინი სწერ—ენ, ის თახნ—ის—ისინი თახნი—ან, ის არ—ის—ისინი არ—იან და და სხვ., —მაშასადამე ის წევ-ს—ისინი წევ-ან. წევს შემოკლებულია ფორმისაგან წევ-არის, წევან—ფორმისაგან წევ-არიან; ამიტომაც იმერულს ხალხურ ფორმას წევლარიან მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე ამერულ წვანან-ს; წევლარიან ისეა ნაწარმოები, როგორც მოსულარიან, და როგორც კეთილ ხმოვნებისთვის ჩვენს მწერლობას მოსულარიან—ის მაგიერ მოკლე ფორმა მოსულან აურჩევია, ისე კეთილხმოვნებისათვის წევლარიან—ის მაგიერ წევან იხმარება „სამეცნიერო განხილვა“, თუ არ დაიშლით, ამას გვეუბნება, და რაც შეეხება კეთილ-ხმოვანებას, თუმცა მწერლობაში უმეტესად წვანან იხმარება, მაგრამ არა ამერს იმისთვის დღემდი სმენა ვერ შეუჩვევია.

იყვნენ სჯობია, თუ იყვენ, მოვიდნენ, თუ მოვიდენ და სხვ.,—ამაზე ჩვენ საკმაოდ გვაქვს ნათქვამი «სალიტერატურო ქართულში» (გვ. 45—47), და აქ აღარ გავიმეორებთ.

ბ-ნი კლდია დაჟინებით ამბობს, რომ ქართლმა შექნა ჩვენი ენა და კულტურაო და ამიტომ იქაურ ფორმებს უნდა მივსცეთ უპირატესობაო. მითქვამს და აქაც ვიმეორებ, რომ ეს შემცთარი აზრია. პირველათ ორთქლის მაშინა უატმა მოიგონა, მაგრამ მერე სხვებმა გააუმჯობესეს; რკინის გზის ლოკომოტივი პირველად სტეფენსონმა მოიგონა და მოაწყო, მაგრამ მერე სხვებმა ათასნაირი გამაუმჯობესებელი მანქანა მიუმატეს და ლოკომოტივის მოძრაობა უმაღლეს წერტილამდი მიიყვანეს. პირველათ, მართალია, ქართველობა ქართლში იყო მოკუმშული, მაგრამ შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, გამრავლდა იგი და მოფინა თითქმის მთელი კავკასიის მთა და ბარი, კიდეები და ღრეებში არა მარტო ქართლში, არამედ ყოველივე კუნჭულში, სადაც-კი ქართველი ხალხი ცხოვრობს,—მისი მაჯა სიცოცხლით სცემს, მისი გული გრძნობიერათ სძგერს, მისი გონება მუშაობს, მისი ენა მეტყველობს. ცოცხალი ხალხის ყოველივე შვილი, მიყრუებულ კუნჭულშიც-კი, იგონებს სხვა-და-სხვა სიტყვას, ფორმას, აზრს, სთხზავს ანდაზებს, არაკებს, ზღაპრებს და სხვ. და სხვ. ცოცხალი ენა გვერდს ვერ აუხვევს ვერცერთ კუნჭულს, და მწერალი ვალდებულია, რაც უნდა მიყრუებულ კუნჭულში მოკრას ყური აზრიან სიტყვას, ლამაზ ფორმას, რიგიან გამოთქმას—მწერლობაში შეიტანოს და მით გაამდიდროს და გაამშვენიეროს სამწერლო ენა. როგორც დედა-მდინარეს აღონიერებს და აძლიერებს სხვა-და-სხვა მხრიდან შიგ მიმდინარე პაწია ნაკადულები, ისე ამდიდრებს და ამშვენიერებს დედა-ენას მისი შტოების საუკეთესო ფორმები, სიტყვები, გამოთქმანი.

ბ-ნი კლდია ცილსა სწამებს იმერეთის შეგნებულ შვილებს, თითქო ისინი, რაკი წვანან-ისა და იყვნენ-ის მაგიერ წევან-სა და იყვენ-ს ხმარობენ, ამით განცალკევებას ემსახურებოდენ. არა, ბატონო კლდია: იმათი გულწრფელი წადილი ის არის—ენა გაამსუბუქონ, გაალამაზონ, გაამშვენიერონ. იმერნი არ ერიდებიან არც ამერულ ფორმებს და არც იმერულს, თუ-კი ისინი, მათი აზრით, მუსიკალური არიან; იმერეთის მწერალნი არ ხმარობენ იმერულს წეიღე და მეიტანეო, იქანა და აქანა, ვინცხა და რაცხა და მრავ. სხვ., არამედ ამერულს წაიღე და მოიტანე, იქ და აქ, ვიღაც და რაღაც, რადგან ეს ფორმები მიაჩნიათ კანონიერათ და მუსიკალურათ; აგრეთვე ისინი ვერ მოიწონებენ ფორმებს იყვნენ, მოვიდნენ, წვანან, და სხვ. მხოლოდ იმიტომ, რომ ასე იხმარება „ჩვენი კულტურის შემქმნელ ქართლში“. იმერეთის შეგნებულ შვილებს კარგათ ესმისთ, რომ გაუმჯობესებისა და წინსვლის წადილი სხვაა და განცალკევების სურვილი კიდევ სხვა, რომ მათ შორის „დიდი მზღვარი“ ძევს; მათ კარგათ ესმისთ, რომ ერთობა და თანხმობით მოქმედება მხოლოდ კარგ საქმეშია არის სასარგებლო, ცუდში კი მავნებელი...

მაშ რა საფუძვლით ბძანებს ბ-ნი კლდია, თითქო ჩვენ განცალკევებას ვემსახურებოდეთ?!

სილოვ. ხუნდაძე

ქუთაისი.
1903 წ. 10 აგვისტოს.

## ჩვენებური ამბები

**ქუთაისი.** „ივერიის“ მკითხველებს ამას წინად უკვე ვაცნობეთ, რომ ამ ჟამად ქუთაისში სწარმოებს ერთის თვის საგანგებო კურსები გალობისა სამრევლო სკოლების მასწავლებლებისათვის. ინსპეკტორი ამა კურსებისა იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი ვასილ ვასილის ძე ვასილიევი, გალობის და კურსის ხელმძღვანელნი და თვით სამრევლო სკოლების მასწავლებელნი სრულის ენერგით მეცადინობენ, რომ კურსებმა თავისი დანიშნულება შეასრულოს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ შეუძლებელს კაცთაგანი ვერავინ ვერ შესძლებს. გალობის რიგიანად და ჯეროვნად შესასწავლად არამც თუ ერთი თვე, რამდენიმე წელიც არ კმარა. გალობა განსაკუთრებული ენაა ადამიანისა, რომელსაც რაც უნდა ნიჭიერი იყოს კაცი, ერთის და ორის თვის განმავლობაში ჯეროვნად ვერ შეისწავლის. სამრევლო სკოლების მასწავლებლები უმეტეს ნაწილად არიან დაბალ სასწავლებლებიდგან, სადაც „თეორიულად“ გალობას არ სწავლობენ და არც სავალდებულოდ ხდიან მოწაფეებისთვის ამ უპირველესს და ფრიად საჭირო და სასარგებლო საგანს. სასურველია, რომ სამოსწავლო მთავრობამ ამაზედ იფიქროს და მახლობელ მომავალში ჯეროვანი ადგილი დაუთმოს საეკლესიო გალობას დაბალ სასწავლებელში და მით სარგებლობა მოუტანოს სარწმუნოებას და ერს.

გალობა კაცისთვის ბუნებრივი საჭიროებაა და იგი ასე მივიწყებული არ უნდა იყოს სასწავლებლებში. მუსიკა ადამიანის გრძნობისათვის იგივეა, რაც მცენარისათვის ცვარი და ნამი. კარგი გალობა ადამიანის სევდათა მკურნებელია და კაცის სიცოცხლეზედ ჰიგიენური გავლენაც აქვს, უკეთ ვსთქვათ, ათასნაირად საჭიროა კაცისათვის გალობის ხელოვნურად ცოდნა. ჩვენ რას მოგვესწრება, თორემ ერთ დროს დაბალ სასწავლებელში სავალდებულო საგნად გახდიან გალობა მუსიკის სწავლას და მაშინ იმით შესამჩნევად დაწინაურდება მომავალი თაობა. ამგვარ წინასწარმეტყველებას მე მაბედვინებს თქმად ის გარემოება, რომ მუსიკის ცოდნა თანდათან სავალდებულო მოთხოვნილებად ხდება ყველა „ინტელიგენტისათვის“. დაბალ სასწავლებელიდგან დაწყებული ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ გალობას და მალე აღყვავდება ხალხში მუსიკალური ხელოვნება და ცოდნა, ეს ყოველ ადამიანის გრძნობის დამტკბობელი.

აწ დავუბრუნდები ისევ გალობის კურსებს და მის მსმენელ „კურსისტებს“. ზემოდ ვსთქვით, რომ ერთი თვე საკმარისი არაა ჯეროვნად გალობის შესასწავლად და მეტი დრო არც უხერხდება მასწავლებლებს, რომ გალობას მოანდომონ. სამოსწავლო წლის განმავლობაში აუტანელი შრომა შეგირდებთან და ზაფხულში კიდევ კურსებზედ ერთგულად დასწრება, მართლაც რომ აუტანელი რამ არის მასწავლებლებისათვის. თუმცა წელს კურსისტებს წვიმიანი დღეებიც ბევრი შეხვდათ, მაგრამ ხანდახან ისეთი პაპანაქებასიცხე სდგას ქუთაისში, რომ მასწავლებლებს (და რასაკვირველია სხებსაც) საქმეს უჭირვებს.—მასწავლებლები ორჯერ დღეში, დილიდგან შუადღემდე და საღამოობით, ჰგალობენ ქართულად და რუსულად წირვის საგალობლებს ő ზოგიერთი მათგანი ძლივს დახელოვნდნენ პრაქტიკულ გალობაში. რაც შეეხება გალობის თეორიას ő ნოტების შესწავლას თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ ხუთ ექვსამდე მასწავლებლებმა ძლივს იციან ჯეროვნად ნოტების კითხვა ő მის შემწეობით გალობა. გალობაში დაწინაურება ეტყობათ მხოლოდ იმ მასწავლებლებს, რომელნიც

---

# ფელეტონი

## წერილი რაჭიდან.

აქაური უგზოობა. ცხოვრების გაჭირვება უგზოობის გამო.—რიგიანი სკოლები არა გვაქვს,—გადაჭარბებული ცრუ-მორწმუნეობა.

აქაური საჭირ-ბოროტო საქმე უგზოობაა, ამის გამო გაუთავებელი ბაასია, უგზოობას შესჩივის რაჭველი ყოველ გამვლელ-გამომვლელს, აწუხებს მთავრობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არსაიდან იმედი, არავითარი ყურადღება. როდესაც სხვაგან, თუნდაც შავი ზღვის ნაპირა ადგილებში, გზებზე მილიონობით იხარჯება ფული, რაჭა ამ მხრივ სრულებით არ მიდის წინ, უფრო ცუდს მდგომარეობაში ვარდება.

სამხედრო ოსეთის გზას მარტო რაჭველებისათვის კი არა აქვს დიდი მნიშვნელობა, იგი დიდად სასარგებლოა ლეჩხუმისათვის, რადგან უკანასკნელნი რაჭაში ასაღებენ თავის ჭირნახულს. გარდა ამისა, ამ გზას სამხედრო საქმისათვისაც აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ჯერ არავინ ფიქრობს გზის განკარგებას, გაუმჯობესობას, თუმც როგორც სჩანს, რაჭველების ღაღადი მთავრობის ყურამდის მისულა. ივლისის დამდეგ რიცხვებში აქ ჩამოვიდა კომისია, რომელსაც ჰქონდა მსჯელობა გზის შესახებ, მაგრამ კომისიამ ჩვენთვის სასურველი აზრი ვერ დაასკვნა.

უგზოობა რაჭველებისათვის უფრო საგრძნობელია, რადგან რაჭაში საარაკო მიწის სიძვირეა, მიწაც გამოიფიტა, რის გამო უფრო და უფრო საჭირო შეიქნა სხვა ადგილებიდან მოზიდვა თითქმის წლიურ სარჩოსი. ამიტომ უგზოობამ ორჯერ მეტად დაუსვა რაჭველს ოჯახის და საქონლის გამოსაკვები მასალა.

17 ივნისს რაჭაში მობრძანდა ქუთაისის გუბერნატორი, რომელსაც მთელმა რაჭის საზოგადოებამ მიმართა თხოვნით, ვაი შუამდგომლეთ სამხედრო ოსეთის გზის გაკეთებისათვისაო. ეს გზა მუდამ ცუდ მდგომარეობაშია, მამისონის უღელ ტეხილზე ამ გზის წელიწადში მხოლოდ ერთისთვის განმავლობაში ვადისვლება, ისიც დიდის ვაი-ვაგლახით. გუბერნატორმა რაჭველებს აღუთქვა ამ საქმეში დახმარება.

ამ დღეებში ამ გზაზე ახლად დანიშნულ ინჟენერთან ჰქონდათ აქაურებს ბაასი. ინჟენერი ჯერ-ჯერობით მონდომებულია ამ გზის გაკეთებას, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნია ეს საქმე, თუ მთელი ლეჩხუმი, რაჭა და თერგის ერთი ნაწილი არ დაადგენენ განაჩენს ამის შესახებ და მთავრობას არ მიმართავენ ყველანი თხოვნით. რაკი ეს ასეა, ამ საქმეს წინ გამძღოლი უნდა და ეს ისევ აქაურმა ადმინისტრაციამ უნდა იკისროს, რადგან ეს პირდაპირი მისი მოვალეობაა და უკეთესს ვერას გაუკეთებს ხალხს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ რაჭის მაზრის უფროსი თავადი ლეონიძე იკისრებს ამ საქმეს.

სანამდის ეს კანონიერი სურვილი არ შეუსრულდება ხალხს, მანამდე სკოლის საქმესაც გულ გრილად მოეკიდება. შარშან ზემო რაჭამ იკისრა განაჩენის დადგენით სამკლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის დაარსება ონში. წელს მაისში ამ გვარისავე სკოლის დაარსება იკისრა ნიკორწმინდის საზოგადოებამ.

ცხადია, სწავლის სარგებლობა, გულ შემატკივარი და შეგნებულ ადამიანთა შთაგონებით, შეიგნეს რაჭველებმა, მაგრამ ზოგი საზოგადოებაში მაინც გამოჩნდა ორიოდე სულ მოკლე ადამიანი, რომლებმაც სთხოვეს გუბერნატორს მოგვატყუვილეს, სკოლა არ გვინდაო. ამ გვარს საჩივარს იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ხალხს გადაჭრით და გარკვევით არ ჰქონდა გამოცხადებული, თუ რამდენი გადაიხდებოდა წლიურად და ერთობლივ სკოლის შენობის ასაშენებლად, რადგან ყველას ერთად თავი ვერ მოუყარეთ ადგილობრივ გარემოებათა წყალობით, რომ ბევრჯელ აგვეხსნა ერთი და იგივე ზოგმა ვერ გაიგო, რომ შეძლებისა და გვარად, ერთი მანეთიდან ხუთ მანეთამდის გადასახადი ერთხელ შეხვდება მხოლოდ სკოლის შენობის ასაშენებლად და არა ყოველ წლობით, რომ ყოველ წლიური გადასახადი არასოდეს არ აღემატებოდეს კომლზე 30 კ. იმედია, ამ მხრივ საქმე არ დაბრკოლდება, რადგან საზოგადოებას რამდენიმე უკუღმართი და შეუგნებელი წარმომადგენელი ყოველთვის მოეპოვება, რომელნიც უფსკრულისაკენ უფრო მიაქანებენ საზოგადოებას და არა სინათლისაკენ.

ამისთანა საქმე, როგორიც არის ექიმობა, სკოლების დამართვა, უეჭველია, ძალითაც უნდა მოვახვიოთ ხალხს თავზე, რადგან ერთიცა და მეორეც უპირველესი საჭიროებაა. ასე თუ არ მოხერხდა, ხალხს შთანთქავს უმეცრებისა და ცრუ-მორწმუნეობის მორევი.

რაჭაში იშვიათად ჰნახავთ სოფლად წერა-კითხვის მცოდნეს, ცრუ-მორწმუნეობა ისე გამჯდარი აქვს ძვალ-რბილში, რომ მისის წარმოდგენით, მთა და ტყე სავსეა რაღაც უცნაურ მავნე ცხოველებით! ეს ცხოველები ვითომ უფრო მაყრუებულ ალაგებში იმყოფებიან, რომლესაც ხალხი უწოდებს: „დაზრახულ ალაგებს“. შარშან სოფ. სამთისში ერთი უეცრად გარდაცვლილი უნდა გაეჭრა ექიმს. თურმე საცოდავი ტფილისიდან მიდიოდა. როდესაც სოფელს მიუახლოვდა, შემოღამდა, ასტყდა ჭექა-ქუხილი და მგზავრი დაფეთდა ისე, როგორც დაფეთდება ხოლმე ცხენი. სად არ მივარდა, რას არ ეცა?! ბოლოს წაქცეულიყო და გული გახეთქოდა, როგორც ეს აღმოაჩინა გაჭრამ. ერთ ალაგას ჯაგვზე ხურჯინი დარჩენოდა, მეორე ალაგას—ქუდი; ალაგ-ალაგ ჯაგვზე ნახავდით ტანისამოსის ნაფლეთ-ნაგლეჯებს.

მიცვალებულის გაჭრაზე დამსწრე ხალხი ასე მოგვითხრობდა: „მიცვალებული რაღაცას უწვალებიაო, აგერ-ეგერ რაღაცა უცნაური ცხოველის კვალიც-კი ვნახეთო“. ამ ამბავს კვერს უკრავდა ერთი იქაური მოხუცებული მღვდელი, რომელსაც, საუბედუროდ, სემინარიაც-კი დაუმთავრებია. ყველას საბუთად ის მოჰყავდა, რომ ის ალაგი, რომელიც უნდა გაევლო საბრალოს, „დაზრახულიაო“

სამჯერ ოთხჯერ დასწრებიან ხსნებულ სასწავლებლის პედაგოგიურ კურსებს წინა წლებში, რაცა, სხვა საქმის საგნით შორის, გალობასაც სწავლობდნენ. უმთავრეს ყურადღება ასეთი მასწავლებლებზე აქვთ მიქცეული გალობის ხელმძღვანელებს, რადგანაც იმათ წინა წლებში კურსების შემწეობით ცოტად თუ ბევრად ცხმიმე ნოტებით ვარჯიშობა ვარობაში. ყოველ შემთხვევაში იმედია, რომ თუ ყველა ვერა, უმეტესობა მაინც დახელოვნდება გალობის შემცნებში და სოფლის სკოლაში გადარეცხავს თავიანთ გალობას, რასაცნოცა ეჭვი არაა. მოსალობას მიიღებენ მეტადეში ასეთი მასწავლებლები, როგორც საშასწავლო მოგრობისაგან, ისე თანამედ სოფლელოთაგან.

როგორც წინად ვჰქონდა მოხსენებული, მასწავლებლებმა ერთის თვის ხარჯად მიიღეს ორი-ორი მანეთი, რაცგანაც სხენებულ ფულ თვეურ ხარჯად არიან არ ეყოთ ამიტომ მასწავლებლებმა 1 აგვისტოს თხოვნა მიართვეს კურსების ინსპექტორს, ბ-ნს ვასილიევს ძეს ვასილიევს, რომელმაც მოლოდ რა მასწავლებლებისა თხოვნა, აღუთქვა, რომ ცდება ბა „სამრევლო სკოლების ეპარქიალურ საბჭოში", რათა მასწავლებლებს მოემატოს ხარჯის ფულად კიდევ რამოდენიმე მანეთიო. ამ დაპირებამ ძლიერ ანუგეშა მასწავლებლები, რომელთა შორის ზოგიერთები მართლაც რომ ძლიერ შევიწროებულნი არიან სახარჯო ფულის უქონლობის გამო. მასწავლებლებს იმედი აქვთ, რომ ბ-ნი ვ. ვ. ვასილიევი ყოველთვის და ეხლაც ეცდება მზრუნველობა გაუწიოს ნივთიერად დაცემულს სამრევლო სკოლების მასწავლებლებს და დააკმაყოფილებს ხსენებულ „კურსისტების" თხოვნას.

მელქისედეკ მიდოსვაძე

—

**დაბა აბასთუმანი**. თუმცა ჯერ კი დევ კარგი ამინდი დგას, მაგრამ ღამით ძლიერ აცივდა. ნამეტნავად სიცივე საგრძნობელია წვიმის შემდეგ. შვიდ ამ თვისას დილით სითბო დავიდა ორ გრადუსამდე და მთელი დღე საკმარისად ციოდა, ასე რომ ბევრი მოაგარაკე ჩააფიქრა ამ შემთხვევამ. შემდეგ ისევ კარი ამინდი დადგა და ჰაერიც გათბა. მოაგარაკეები ნელნელა შეუდგნენ აბასთუმნიდგან გამგზავრებას, ასე რომ ყოველდღე რამოდენიმე ეტლი მიდის აქედან მგზავრებით. ვინც ბანაობს ან „დუშებს" იღებს, დიდხანს ცდა აღარ სჭირდება ახლა, როგორც ამ ორის კვირის წინად და თავისუფლად ასრულებენ ექიმისაგან დანიშნულ „ვანნების და დუშების" მიღებას.

აქაური ფოსტა-ტელეგრაფის განკარგულება სწორედ რომ გასაოცარი არის. მთელ აბასთუმანში სულ სამ ადგილას იყო ჩამოკიდებული წერილების ჩასაყრელი კოლოფები, ერთი ფოსტის კანტორასთან, მეორე აბანოების შენობასთან და მესამე-კი ზემო ნაწილში პირველ და მეორე როშჩებს შუა. დიდ საშვალებას აძლევდა ეს კოლოფები მოაგარაკეებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთი კოლოფი სადღაც გაქრა, რომელიც იყო როშჩების შუა, სადაც ბევრი სახლები არის და მოაგარაკეებიც უფრო ეტანებიან. გვეგონა, რომ ისევ მალე დაკიდებდენ, მაგრამ ორის კვირის ცდამ ტყუილად ჩაიარა. ფოსტის მოხელემ გვითხრა, კოლოფი ბავშვებმა ჩამოაგდესო, ასე რომ ყოფილიყო, ხომ დაკიდებაც და მაგრად დალურსმნაც შეიძლებოდა, მაგრამ, ფოსტის უფროსი, ეტყობა, არ ჰზრუნავს მოაგარაკეებისათვის. ვისაც წერილის გაგზავნა უნდა, ფოსტაშიც იტანს წერილს და გასეირნება შეიძლება კიდეც მოუხდესო.

შვიდს ამა თვისას, ჩვეულებისამებრ, გაიმართა ქართული სადილი მეორე როშჩაში ბ-ნ ბ. გ. ბებურიშვილის თაოსნობით, რომელზედაც ყველა ქართველს სთხოვეს დასწრება, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ცოტანი დაესწრნენ. სულ იქნებოდა ქალი და კაცი ორმოც და ათამდე. სადილზედ ჰყავდათ მიწვეული აქაური უფროსი ექიმი ი. ზ. გოპაძე ოჯახობით. სადილმა კარგად ჩაიარა და გასტანა საღამოს შვიდ საათამდე. შემდეგ სადილისა დამსწრენი გაიყვნენ ორ ბანაკად, რომელნიც განირჩევოდნენ ვარდისფერ და ცის ფერ ბანტებით, და დაიწყეს ბურთის თამაში, შემდეგ ბურთის თამაშისა გაიმართა ჭიდაობა. ორივე მხარემ გამოიყვანა სამ-სამი ფალავანი ბიჭები და შემდეგ რვა საათზედ დაიშალნენ ნასიამოვნებნი. ამბობენ, ბევრმა მონაწილეობა არ მიიღო ვითომ იმიტომ, რომ შარშან სადილმა გლახად ჩაიარა და ბოლოს ჩხუბიც მოხდაო. ეხლა-კი სადილმაც კარგად ჩაიარა და სიმშვიდეც არავის დაურღვევია. ძრიელ კარგი არის, როდესაც სხვა-და-სხვა მხრის მოაგარაკენი ერთჯერ მაინც შეიკრიბებიან თუნდაც სადილისთვის და შემთხვევა მიეცემათ ერთი მეორის კარგად გაცნობისა და სხვა-და-სხვა საგნებზედ ბაასისა, მაგრამ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ ამისთანა შემთხვევა აღებექდათ რაიმე სამახსოვრო საქმით. ერთ მათგანს, მოსვლია აზრად მიეცა წინადადება, რომ რამე საქველმოქმედო შეწირულებით აღებექდათ იმ დღის ერთი-მეორესთან დაახლოვება და დროს გატარება, მაგ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ და მან გაუზიარა თავისი აზრი ორ სამ მეზობელს, მაგრამ ამ უკანასკნელთ დაინახეს უდროულად და შემდეგ აღარ მოხერხდა აზრის განხორციელება. ამნაირად კეთილი აზრი არ განხორციელდა, სამაგიეროდ-კი გადაიღეს საერთო სურათი ყველა სადილზედ დამსწრეთა და იმედი მაქვს, რომ სამი ოთხი თუმანი აქაურ ფოტოგრაფს ერგო წილად. სასურველია, რომ მომავალ წლებში მაინც არ ჩაივლის საერთო ნადიმი ასე უმნიშვნელოდ, როგორც წელს.

მოაგარაკე

—

**ს. სამტრედიას** ახლო 10 აგვისტოს უპოვიათ მკვდარი დარაჯი ბერიშვილი. ჰფიქრობენ, მოჰკლამდა ვინმეო.

—

**ტუაპსეს** ნავთ-სადგურის მოსაწყობად ხაზინამ გადასდო მილიონ ნახევარი მან.

—

**ბაქოს** პოლიცმეისტერი როტმისტრი ოხიცინსკი, ავადმყოფობისა გამო, სამსახურიდან გამოვიდა, და მის ადგილს გამწესდა მისივე თანაშემწე კაპიტანი პოლონსკი.

—

**სამეგრელო**. უამინდობისა გამო, საზოგადოდ წელს მთელს, სამეგრელოში ყოველგვარი მიწის მოსავალი გვიან დაითესა. ამას ზედ დაემატა ივლისის თვის ხშირი წვიმები, რამაც დიდი ზიანი მისცა ჭირნახულსა. მრავალ ადგილას სიმინდი გაუთოხნელი დარჩა ბალახმა, სძლია ულმობელმა ბუნებამ არც ეს აკმარა მხვნელ მთესველთ. 6 აგვისტოს ცამ ერთობ პირი დააღო, დაუშინა კოკისპირული წვიმები ელვა-ქუხილით, თითქო ღვთის რისხვა და მეორედ მოსვლააო. ყოველგან მდინარეები და ღელე-რუები ძალზე მოდიდდნენ და ნაპირები წალეკეს. ზოგიერთებს წყალი სახლში შეუვარდა, შეიქმნა ერთი წივილ-კივილი და ვაი-ვაგლახი. ხალხმა დროზე თავს უშველა, ზოგი ხეზე ავიდა და ზოგი სახლის ბოძზე. მაგრამ შინაური ფრინველი მრავალი საქონელი დაირჩო. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ყოველივე ეს მოხდა დღისით თორემ, ღამე რომ ყოფილიყო, მრავალ ადამიანს იმსხვერპლებდა. მეტის-მეტად დაზარალდნენ ჭალის პირას მცხოვრებნი და იქვე მდებარე ყანები. რაც სტიქიონს გადურჩა, არც ის იძლევა საიმედო ნიშანს.

„ადესის" ვაზს პირველ ხანებში კარგად ესხა, მაგრამ უამინდობამ ესეც გააჩანაგა... მხოლოდ გვარიანი მოსავალი იყო თაფლისა აქა-იქ. საუბედუროდ, ჩვენი ხალხი ძალიან გულ-აცრუვებით ჰკიდებს ხელს ფუტკრის მოვლა-მოშენებას.

აბრეშუმის მოსავალიც წელს მთელს სამეგრელოში ერთობ ცუდია. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, თესლის სიძვირე იყო. თითქმის 5 მისხლიანი კოლოფი აბრეშუმის თესლისა 5 მანეთად იყიდებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამ ფასადაც არ იშოვებოდა. ზოგიერთებს ამ ფასად ნაყიდი თესლი გაუფუჭდათ, რადგან უვარგისი ყოფილიყო.

თუმცა და ციებ-ცხელების სეზონი დადგა, მაგრამ ეს ავადმყოფობა წელს ყოველგან შესუსტებულია. ნაცვლად ამისა, ზოგიერთ სოფლებში სხვა და-სხვა მოარულმა იჩინა თავი.

ქურდობა და ავ-კაცობა, თუ არ მატულობს, არცა კლებულობს. მართალია, რამდენიმე ყაჩაღი მოჰკლეს, მაგრამ მაინც არ დაცხრა ავ-კაცობა...

—

**ს. ისულა**. (სენაკის მაზრა): მთელს მაზრაში ხომ არსად არ არის რიგიანი შარა-გზა, რომ კაცს უხიფათოდ შეეძლოს მგზავრობა, ხოლო სოფ. ისულის გზა ჯოჯოხეთს მოგვაგონებთ. ამ რამდენისამე წლის წინად აქ რიგიანი გზა გაიყვანეს და ცოტა შვება მიეცა მცხოვრებთ. ეხლა ეს გზა სულ გაფუჭებულია, ერთი პატარა წვიმაც საკმაო, კაცი ვეღარსად წავიდეს. ამ ჯოჯოხეთის გზის ამბავი ძალიან კარგად იცის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, მაგრამ ჯერ ვერა მოუხერხებია რა მის შესაკეთებლად.

ტელეფონი.

## რუსეთი

ვლადივოსტოკის საიმპერატორო აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტს, რათა მეტი მსმენელნი მიიზიდოს ევროპის რუსეთიდგან, ისეთი უპირატესობა აქვს მინიჭებული, რომელიც არც ერთ სხვა უნივერსიტეტსა და სასულიერო აკადემიას არა აქვს. მაგ., ინსტიტუტის სტუდენტობა შეუძლიანთ ცოლშვილიანებს, მღვდლებს, დიაკვნებს (ვლადივოსტოკის ეპისკოპოსის ნებართვით), კადეტთა კორპუსის, სასულიერო სემინარიის, რეალურ და საკომერციო სასწავლებელთა მოწაფეებს. საუკეთესო სტუდენტებს პირველ კურსისას, რომელნიც რუსულსა და ინგლისურში სამეტოქეო გამოცდას ჩააბარებენ, სახელმწიფო ხარჯზედ იქნებიან მიღებულნი ინსტიტუტის პანსიონში. დანარჩენთ შეუძლიანთ ისარგებლონ „ინსტიტუტის სტუდენტთა საზოგადო ბინით" და იხადონ სულ მცირე ფასი: 5 მან. ოთახისა და 12 მანეთი იჯრისა თვიურად. დამაბრკოლებელი მიზეზი მხოლოდ ერთია: ინსტიტუტში შესვლის მსურველს არც ყურს უნდა აკლდეს და არც ენა არეული იყოს, რადგან ამგვარი ნაკლულევანებანი მეტად უშლის კაცს ხელსა ინგლისურისა და აღმოსავლეთ ენების შესწავლის დროს.

— რუსეთის მთავრობამ ნება დართო, რომ ამა წლის პირველ აგვისტოდგან ციმბირის რკინის გზით იგზავნებოდეს მთელი ფოსტა იაპონიისა. აქამდე იაპონიის ფოსტა ზღვით იგზავნებოდა ამერიკაზედ. გარდა ამისა გადასწყდა პეტერბურგში იაპონიის საკონსულო დაარსდეს. კონსულად დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული იურისტი ბ. მინკოვსკი.

## უცხოეთი

**ბულგარია**. გაზ. „ვეჩერნი პოჩტა" დიდის თანაგრძნობით ლაპარაკობს მეამბოხე მაკედონელთა შესახებ და თანაც ჰშიშობს, — რა ეშველებათ საბრალოებს, თუ ევროპამ ჩვეულებრივი გულ-გრილობა გამოიჩინა და დროით არ მიეშველა თავგანწირულ მებრძოლთაო. მართალიაო, — ამბობს გაზეთი, — დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს ევროპის დახმარებისა, მაგრამ არის ერთი სახელმწიფო, ერთი ერი, რომელიც გულის ფანცქალით შეჰყურებს ბედშავ გმირ მაკედონელთ: მისი გული მუდამ სძგერდა მოძმე მაკედონელთა სიყვარულით და ეს ძგერა დღეს მღელვარებადაც გადაექცა.

ეს სახელმწიფო კი ბულგარიის თავის უფალი სამთავროა. ბულგარიის მთავარი (მაგრამ სადაა ეხლა იგი?) და ბულგარიის მთავრობა უნდა წინაღუდგნენ, რომ ახლო მომავალში მაკედონია ჩვენს მოძმე ქრისტეანეთა საერთო სამარედ არ გარდაიქცეს.... ბულგართა ერი უღალატებს თავის მოწოდებას, თავის იდეალებს, შეჰბღალავს თავის სახელს, თუ კი ვერ შესძლო მაკედონელთა დახმარება. იგი არ იქნება ღირსი სახელოვან მომავლისა, თუ ამ გაჭირვების დროს მხარში არ ამოუდგა ტანჯულ მოძმეთ. იგი არ იქნება ღირსი ეროვნულ სიამაყისა, თუ რილის მთებს გადალმა მყოფნი მოძმენი უდიერ ოსმალთა ურდო ჯარებს მიანება გასაჟლეტად.

ბულგართა ერი მზად უნდა იყოს მაკედონელთა დასახმარებლად. ასე უნდა მოიქცეს, რადგან ამ ოცდა-ხუთის წლის წინად ასე მოიქცნენ სხვები მის დასახსნელადაც"...

**აბაშეთი**. რომის სავაჭრო წრეებში ირწმუნებიან, — იტალიასა და ინგლისს პირობა შეუკრავთ და წინდაწინვე გადაუწყვეტიათ მძიმედ ავადმყოფ ნეგუს მენელიკის სიკვდილის შემდეგ აბაშეთის განაწილებაო.

**ოსმალეთი**. აგვისტოს 4-ს ილდიზკიოსკში სამხედრო თათბირი მოჰხდა.

ბჭობა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ ვინ დაჰნიშნონ მაკედონიაში მყოფ ოსმალთა ჯარის მთავარ-სარდლად. ზოგნი ომარრუჯი-ფაშას ასახელებდნენ, და ზოგნი ახმედ ფაშას, რომელსაც მის მომხრეთა აზრით, ადვილად შეუძლიან მაკედონიაში წესიერება დაამყაროსო. ეს საკითხი სამხედრო საბჭომ ვერას გზით ვერ გადასწყვიტა.

შემდეგ საბჭომ დადგინა, — უბრძანოს ოსმალეთის პატრონათა საიმპერატორო ქარხნის გამგეს, დღეში 300,000 ცალი პატრონა ამზადოს უეჭველადო.

თოფანეს თოფხანაში მიამზადებული ზარბაზნები სულ მაკედონიას უნდა გაიგზავნოს.

გარდა ამისა დაადგინეს, — ახალგაზრდა ექიმები, რომელთაც შარშან შეასრულეს კურსი, და აგრეთვე უკანასკნელ კურსის მედიკები სამხედრო მკურნალებად დაინიშნონ მე-3-მე სამხედრო კორპუსშიო.

ყველა სამხედრო კორპუსი მზად იყოს საომრადაო.

გაზ. „ფიგაროს" სტამბოლელი კორესპონდენტის სიტყვით, ოსმალეთის სამხედრო მინისტრს ხელი მოუწერია ვიღაც ოდესელ ჩერეპახინის ხელშეკრულობაზედ რომელმაც ოსმალეთის ჯარისათვის 2,000 ცხენი უნდა შეიძინოს.

— აგვისტოს 4-ს სოფიიდან აუწყებენ გაზ. ინტეპ. ბელგ."-ეს: მონასტირი საზარელ მდგომარეობაშია. ქუჩები დაცარიელებულია. შენობები სახელდახელო სიმაგრეებად გარდაუქმნიათ. მცხოვრებთ სრულიად გასწყვეტიათ შინაური საქონელი, რადგან სურსათი შემოჰკლებიათ.

ამბობენ, — მცხოვრებნი ასობით იხოცებიან სიმშილით, რადგან ხვრელებიდან გამოსვლა ვერ გაუბედნიათ და საჭმელსასმელი კი არა აქვთო.

დედა-კაცები, რომელნიც ქმრებთან ერთად მთებში გაიხიზნენ, ათას წილად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე შინ დარჩენილებიო.

მოხელეთ არ ძალუძთ გამძვინვარებულ მუსულმანთა შეკავება. მონასტრის მახლობლად ბაშიბუზუკებმა ხუთი სოფლის მცხოვრებნი ერთიანად ამოსწყვიტეს.

კონსულები მონასტრიდან ვერსად მიდიან, რადგან საკმაო ამალის თანგაყოლება შეუძლებელია: ყველა ოსმალელი ჯარის კაცი უკიდურეს ფანატიზმითაა შეპყრობილი.

უცხოელ გაზეთების კორრესპონდენტებს მონასტირში არ უშვებენ.

რუსეთის კონსულ როსტოვსკის მკვლელ ალბანელ ჟანდარმის სიკვდილით დასჯას მეტად გაუბრაზებია ილდიზ-კიოსკის ალბანელი დარაჯები. ოსმალეთის დიდ მოხელეებს ეშინიანთ სასახლის ალბანელ დარაჯთა ამბოხებისა და სცდილობენ ხო-

---

ბევრი ველაპარაკეთ, რომ შეუძლებელია შეჰხვედროდა რამ მიცვალებულს, ნახული კვალი ისევ მისივეა და არა რომელი სამე მთიურის ცხოველისაო. მაინც ეჭვის თვალით უყურებდა ჩვენს ნაამბობს ხალხი, თუმც კარგად იცოდა, რომ მიცვალებული ძლიერ მშიშარა იყო, მზის ჩასვლის შემდეგ გარედ ვერ გამოვიდოდა, ასეთი ჭკუის დამაბნელებელია შიში, რომელსაც კაცობრიობის უბედურებაში. დარვინისა არ იყოს, დიდი ნაწილი უდევს, მეტადრე თუ ადამიანი ცრუმორწმუნოებით აღსავსეა.

მართლაც, რაჭაში ღამე მგზავრობას უფრთხიან, ერიდებიან. ამის მიზეზი ისიც არის, რომ აქ საოცარი უგზოობაა, მთიანი ალაგია და მეწყერიც ძლიერ გახშირებულია, რაც უგზოობას უფრო უწყობს ხელსა. წელიწადი არ გაივლის, რომ რაჭაში ათიოდე მოსახლე არ აანგრიოს მეწყერმა. 25 და 26 ივნისს. ხიმში (ხიმში) მთელის მთის ფერდობი ჩამოცურდა, რამაც 8—10 მოსახლემდის დააზარალა.

ამბროლაურს ახლოს საფოსტო გზიდან კარგად დაინახავთ ამ არა—სასიამოვნო სურათს. ტყე და მთა თავისის სხვადა-სხვაობით ხშირად ღამეში სხვა სახეს იღებს, რის გამო ცრუმორწმუნოებით შებოჭილ ადამიანის წარმოდგენაში ადვილად იბადება ილიუზია. მოდით და ამისთანა ვითარებაში მყოფ ხალხისათვის ნუ ვეცდებით სკოლების დაარსებას, წერა-კითხვის გავრცელებას, თუნდა ძალდატანებით და მისსავე ხარჯით; მოდით და ნუ ვეცდებით სასარგებლო შინაარსიან ქართულ წიგნაკების გავრცელებას. რაჭველები ისე ღარიბნიც არ არიან, რომ ვერ შესძლონ ხაზინის დახმარებით ერთის სამოქალაქო სასწავლებლის შენახვა, ერთის სახელოსნო ან სააგრონომიო სკოლის დაარსება: ორიოდე ამ გვარი სასწავლებელი აუცილებლად საჭიროა რაჭისათვის. თუ რაჭა ორიოდე მოზრდილს სასწავლებელს ეღირსება, მერმე ისე შესაბრალებელი არ იქნება. თან ამას გზების განკარგებაც მოჰყვება. პატარა სკოლები რაჭაში სასურველს სარგებლობას ვერ მოიტანს, რადგან აქ ისეთი დიდი სოფლები არ არის, რომ საკუთარი სკოლა იქონიონ, ისევ უნდა შეერთდენ და ეს, აქაურ მკაცრ ზამთრისა და უგზოობის გამო, ბავშვებისათვის ძნელია, მით უფრო, რომ სოფლები ერთმანერთზედ შორს არიან. ისევ უმჯობესია მოხერხებულ ალაგების არჩევა, უფრო სრული პროგრამიან სკოლების დაარსება. ცოტაოდენ სწავლას სამრევლო სკოლებიც გაავრცელებენ სოფლებში. სასწავლებლების დამართვის საქმეში ისევ აქაურები უნდა ჩაერიონ, უნდა გააცნონ მთავრობას აქაური ვითარება და მდგომარეობა.

ასე თუ ისე დღეს ის დრო დადგა, რომ ჩვენშიაც დაიბადა სწავლის სურვილი, რადგან ხალხი თანდათან რწმუნდება, რომ მხოლოდ რიგიანს სწავლას შეუძლიან ჩვენის ცხოვრების განკარგება, მხოლოდ იგი მოგვაშორებს სულის შემხუთავ ცრუ-მორწმუნოებას, გვასწავლის ზომიერს ცხოვრებას და ამით აგვაცილებს დაავადებას სულისას და სხეულისას.

ხალხის გონების საუკეთესო საზომი ცრუ-მორწმუნეობასთან შებრძოლებაა, ნამდვილ პოზიტივის ცოდნით შეიარაღება. თუ რამდენად დაცემულია საზოგადოდ ჩვენი ქვეყანა და კერძოდ რაჭა, ეს იმითი გამოიხატება, რომ ძლიერ მისდევენ მკითხაობას და ცრუ ექიმობას, რომელთა წარმომადგენელნი ასობით და ათასობით ირჩენენ თავს მშვენივრად ჩვენი ხალხის უმეცრებით. ხალხი ენდობა იმათ, ხშირად ძვირად უჯდება ეს ნდობა, მაგრამ არაფრად აგდებს და ადვილათაც ურიგდება მწარე შეცდომასაც-კი.

მართალი კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ საქმეში რაჭის ინტელიგენცია, მღვდელი და მასწავლებელია დამნაშავე. მღვდლები და მასწავლებლები საღათას ძილს მისცემიან, ხალხის მზრუნველობისათვის ვერ იცლიან. ცოტაოდენი ინტელიგენტები ლუკმა პურისათვის სხვაგან გადახვეწილან და, თუ მოდიან, მოდიან ცოტას ხნით, სამშობლოსათვის არას აკეთებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ ყოფნის დროს პირი მუდამ დაღებული აქვთ, რომ კარგად ჩაჰყლაპონ მშობლიური ჰაერი.

მაინც და მაინც გავიძახით, ერობა გვინდაო და ამ ერობის ცდასა და მოლოდინში არას ვაკეთებთ, რომ შევასწავლოთ წერა-კითხვა, განვაკარგებინოთ მამა-პაპისეული მიწის დამუშავება. ერობა რას გვიზამს, თუ დავკარგავთ მოღვაწეობის და თვით-მოქმედების უნარს?! ყოველივე კი შესაძლოა, თუ მოვინდომეთ. არც ისე უმეცარია ჩვენი ხალხი, კარგი ვერ შეიგნოს, თუ ამისათვის ყოველ ღონეს ვიხმართ. ამაში ჩვენმა ძლიერ ჩამორჩენილმა რაჭამაც დამარწმუნა. ადვილად ეთანხმებიან დღეს რაჭველები მოწინავე კაცებს ყოველ გვარ ხალხისათვის სასარგებლო საქმეში, მაგრამ ძლიერ ცოტანი არიან ეს მოწინავენი. სამკალი ბევრია, მაგრამ მომკალი ცოტა გვყავს.

სხვათა შორის ერთი სასიამოვნო მოვლენა უნდა აღვნიშნო. ონში შესდგ ყმაწვილების ამხანაგობა, რომელიც წარმოადგენებს ჰმართავს. 29 ივნისს წარმოადგინეს ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"; წარმოდგენას სოფლებიდანაც ბევრი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ფულიც საკმარისად დარჩა და ონის სამკითხველოს მოხმარდება. ახალგაზრდებს ნიჭიც შესწევს და ამისათვის კარგი იქნება, თუ ხშირად გაჰმართავენ წარმოდგენებს, ხალხს ხალისი ეტყობა და გამართული წარმოდგენა ბევრს კეთილ-შობილურს მისწრაფებას დაბადავს. მაგრამ აქაც საჭიროა ის, რაც ყოველგან გამოსადეგია: ერთი მეორის პირადობის მეტი პატივისცემა, საზოგადო საქმის გულისთვის პირად ინტერესის სრულიად დავიწყება, მეტი თანხმობა. ეს რწმენა ჩვენ ყოველთვის და ყოველგან ნამდვილ მცნებათ უნდა გავიხადოთ.

ე. ვაშაკიძე.

ნთქარს მოსალოდნელი უბედურება თავიდგან ააცდენინონ.

## ნარკვევი

„Вѣст. Евр.“-ის აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია შინაურ მიმოხილვად ვრცელი წერილი ვ. ვ.-სი რკინის გზათა კეთების შესახებ რუსეთში.

რკინის გზანიო,—ამბობს ავტორი,—ჯერ-ჯერობით საუკეთესო ღონეა სასიარულოდ და საქონლის გადასაზიდ-გადმოსაზიდად და, ამიტომ არაფერი არ არის გასაკვირველი, თუ სახელმწიფო ჰზრუნავს, რაც შეიძლება, მეტის მანძილის რკინის გზები ჰქონდეს. მაგრამ აქედან ის არ უნდა დავასკვნათ, რომ ამ საქმეს სახელმწიფო უნდა მისდევდეს, რადაც უნდა დაუჯდეს, რომ ნივთიერი ძალ-ღონე მკვიდრთა მეტის-მეტად შევიწროებულ იქმნას ამ აზრით, რომ ქვეყნის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შემცირდეს უმწვერვალესობამდე და რომ ასეთის უკიდურესის ღონისძიებით შექმნილი საბიუჯეტო ნამატ-ნათავნი იხარჯებოდეს რკინის გზების გაყვანაზედ. თუ ასე იქმნა წარმოებული საქმე, რკინის გზები დაჰკარგავს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს, როგორც შემწეს ეკონომიურის განვითარებისას. მაგ შემწეს გაძლიერება და განვითარება მხარდამხარ უნდა მიდიოდეს სხვა საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად, თორემ ისე გამოვა, რომ ვითომ რკინის გზების მატება მარტო თავის-თავად არის სასურველი. ამ შემთხვევაში სარკინის-გზო პოლიტიკას აღარ ექმნება ბუნებრივი კავშირი სახელმწიფოს პოლიტიკასთან, რომელიც იმაზეა მიმართული, რომ ქვეყნის მოთხოვნილებანი შეწონ-შეზომილობით დააკმაყოფილოს.

ვ. ვ.-ს აზრით, ასეთს ყოფაში იყო სწორეთ ამ ბოლოს დროს რკინის გზების საქმე. რკინის გზებისათვის ყოველისავე სხვერპლისათვის მზად იყვნენ და ოღონდ-კი რკინის გზებს მოჰმატებოდა, სხვას აღარას დაეძებდნენ.

მიზეზი ასეთის გაქანებით რკინის-გზების კეთებისა ის იყო, რომ ქვეყნის მრეწველობა განცხოველებულიყო და განცხოველდებოდა ხოლმე კიდეც. როცა ან სურვილი არ არის ან შეძლება, სხვაფრივ ალუპყრო ხელი მრეწველობას, სხვაფრივ იმოქმედა ეკონომიურ განვითარების ძირითადს ფაქტორებზედ, მაშინ მაგის მეტი ღონე სხვა აღარა არის-რა, რომ უნდა რკინის გზები გაგვყავდეს, რაც შეიძლება ბლომად.

მაგრამ აქ ერთი რამ არის საკითხავი: ხანგრძლივი-კი იქნება ეგ განცხოველება მრეწველობისა და საკეთილო შედეგი მოჰყვება-კი ამისთანა გარემოებაში მრეწველობის დახმარებას ხაზინის მიერ? მართლაცა და განა შესაძლოა წარმატება მრეწველობისა მაშინ, როცა მკვიდრთა სიმრავლე დარიბდება და ამიტომ სულ მცირეს რასმე-და ჰყიდულობს იმ მრეწველობის ნაწარმოებისასა და როცა ეგ ნაწარმოებნი საქვეყნო ბაზარზედ ძალიან შევიწროებულია სხვა უფრო განათლებულ ხალხის შეცილებითა? განა აქედან ის არ უნდა დავასკვნათ, რომ დარიბის ხალხის უმრავლესობის წინ წაწევა და ნივთიერი წარმატება რკინის გზათა გაძლიერებულ კეთებით-კი არ შეიძლება, არამედ ისეთ სამრეწველო დარგთა საუპირატესო დახმარებით, რომელიც უმთავრესი ადგილია ხალხის საშრომლად და რომელიც უმთავრესი წყაროა შემოსავლისა მკვიდრთათვის?! აი ეს უნდა იყოს უპირველესი მისწრაფება საფინანსო პოლიტიკისა, რადგან ამ გზაზე პირველი შეეფერება და შეეწონება ჩვენის ქვეყნის დღევანდელს საეკონომიო ვითარებას.

ავტორის აზრით, ეს გზა ფრიად ძნელი სავალია და გვიან მიმყვანი დანიშნულ ადგილას, მაგრამ ეგ გზა კია ერთად-ერთი, ბედნიერებისადმი მიმყვანი. ნათქვამია, შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო.

გარნა სხვა გზითაც შეიძლება სიარული; შეიძლება ისეთ ღონეს მიჰმართონ საერთო მრეწველობის ასაღორძინებლად, რომელსაც მაშინვე შესამჩნევი შედეგი მოჰყვეს და თან არ მიაქციონ ყურადღება იმას, თუ რამდენად მტკიცეა და სამუდამო ეგ შედეგი და სწრაფად გავრცელებულ გაძლიერებული დიდი მრეწველობა რაოდენ სხაგრავს სხვა დარგს, იქნება ნაკლებ შესამჩნევს, მაგრამ უფრო სასურველს ხალხის ქონებრივის ინტერესებისათვის.

ჭეა და ერთი მაგ ღონისძიებათაგანია რკინის გზის გაქანებული კეთება, მეტადრე როცა რუსეთი ასე დარიბია რკინის გზებით.

მაგრამ დრომ დაამტკიცაო, ამბობს ბოლოს შინაური მიმომხილველი,—რომ დიდ და ძნელ საეკონომიო საქმის გასაკეთებლად დიდი რამ საეკონომიო ღონისძიებანიც არის საჭირო და არა მარტო საფინანსო—სატეხნიკო ღონისძიებანი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 31 ივლისს ქუთაისის თეატრში ქუთათურ მსახიობთა და სცენის მოყვარულთა დასმა წარმოადგინა «ადვოკატები» და „დავა“. როგორც დავგარწმუნეს, წარმოდგენა გაიმართა საქველმოქმედო აზრით და სახელდობრ შესაწევნელად ერთის უნივერსიტეტში გამგზავრებულის სტუდენტისა, მაგგულაძისა, რომელსაც სიდარიბე ხელს უშლიდა განეგრძო სწავლა უმაღლესს სასწავლებელში. ხსენებულ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა და მსახიობთ კარგად შეასრულეს თავიანთი როლი, რის გამოც ხალხი კმაყოფილი დარჩა. წარმოდგენის შემდეგ უნდა გამართულიყო კონცერტი, ახალგაზრდა მომღერალ სტუდენტის კოტე ფოცხვერაშვილის ლოტბარობით, როგორც აფიშებში იყო გამოცხადებული. საზოგადოება აღტაცებით მოელოდა ფოცხვერაშვილის სცენაზედ გამოსვლას, მაგრამ მოვსტყუვდით. ქართველ მომღერალ ხოროს ლოტბარად ვიღაც სხვა გამოჰყვა სცენაზედ სიმღერები მშვენივრად სთქვეს, რის გამოც ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. საზოგადოებას უკვირდა, რად არ ილოტბარა კონცერტზედ ამ დამეს ბ-ნმა კოტე ფოცხვერაშვილმა. საზოგადოება ამაზედ ცოტა არ იყოს ნაწყენი დარჩა, რადგანაც არ ასრულდა ის სავსებით, რაც აფიშებში იყო გამოცხადებული. კარგი იქნება, თუ შემდეგისთვის არ მოატყუებენ საზოგადოებას. როგორც ამბობენ, ბ-ნი ფოცხვერაშვილი იმ დამეს ავად უნდა ყოფილიყო და, თუ ეს მართალია, რასაკვირველია, კონცერტს ვერ დაესწრებოდა და თავის შესანიშნავ გალობა-სიმღერებით საზოგადოებას ვერ ასიამოვნებდა.

შემოსავალი რამდენი იყო ღანამდვილებით არ ვიცით და მოახმარეს თუ არა, ვისთვისაც გაიმართა, არც ამაზედ შეგვიძლია ვსთქვათ რამე.

მელქისედეკ მიდოსვაძე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აგვისტო

**სევასტოპოლი.** ინიადიდან სევასტოპოლში მოვიდა ესკადრა.

**ბელგრადი.** ელჩი ნოვაკოვიჩი წავიდა პეტერბურგს, რომ ახალი რწმუნების ქაღალდი ჩააბაროს.

**ოდესა.** 13 აგვისტოს, დილით მოვიდა გემი „ტერეცი“ როსტკოვსკის გვამითა, თან მოჰყვნენ ცოლი-შვილი განსვენებულისა და რწმუნებული რუსეთის ელჩისა სტამბოლში მანდელშტამი. გვამის მისაგებებლად შეიკრიბნენ წარმომადგენელი გარეშე საქმეთა სამინისტროსი, ქალაქის გამგეობა, სამოქალაქო და სამხედრო პირნი, სამღვდელოება, ჯარები და დიდძალი ხალხი. კუბო დაასვენეს გვირგვინებით დაფარულ კატაფალკაზე. შემდეგ მცირე პანაშვიდისა სამგლოვიარო კორტეჟი წავიდა ტაძარში. გვამს მიეგება მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი იუსტინე სამღვდელოებით და კუბო დაასვენეს შავებით შემოსილს კატაფალკაზე, პირველი პანაშვიდი გარდაიხადა მაღალ უსამღვდელოესმა იუსტინემ. ხვალ დაასაფლავებენ.

**სოფია.** ადრიანოპოლის ვილაიეტში მეამბოხეთ უნდოდათ აეფეთქებინათ კანდელი (მაიაკი) ინიადის ახლო. ელიან, რომ ისინი დაეცემიან მალკოტირნოვს. ოსმალთა სოფელს გამზიბელს, ადრიანოპოლს ახლო, დაეცნენ და დასწვეს. დერეკიოი დააქციეს. მომეტებული ნაწილი სანდჟაკის კირკილისისა მეამბოხეთ ხელთ იგდეს.

**პარიჟი.** ცოლ-ქმართ ემბერებმა კასაციურს საჩივარს ხელი მოაწერეს.

**სტამბოლი.** ადრიანოპოლელთ ვალი 11 აგვისტოდამ ატყობინებს, რომ ყველა ოსმალთა სოფლები ტირნოვის მიდამოებში დასწვეს მეამბოხეებმა. ცოლი და პატარა შვილი ტირნოვის ტამოჟნის ზედამხედველისა მხეცურად მოკლეს. 30 ჯუფთი დაეცა ოსმალთა სოფელს ხადჟიდან—ისეხმედს და თითქმის სულ ფერფლად აქცია. ღამე, 10 აგვისტოს, მეამბოხენი დაეცნენ ტირნოვოში ყაზარმას, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

14 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა გამოუცხადა პსკოვის გუბერნატორს მათ უდიდებულესობათა პსკოვში ყოფნის დროს სამაგალითო წესიერების დაცვის გამო ქალაქში.

**პორტ-არტური.** ქალაქი დიდ მზადებაშია გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დასახვედრად, რომელიც ეხლახან დაინიშნა შორეულ-აღმოსავლეთის მეფის მოადგილედ; გენ.-ად. ალექსეევს ვლადივოსტოკიდგან მოელიან.

სადგურ სანშილიტსა და პულუნძიანს შორის ხუნხუზთა ბრბო თავს დაესხა ტელეგრაფის მავთულების შემკეთებელთ; მუშა-ჩინელები გაიქცნენ; ტეხნიკმა ბრბოს სროლა დაუწყო დარაჯებისა და ყაზახების მოშველებამდე. სამი ხუნხუზი მოკლულია და ერთი დარაჯი დაჭრილი.

**სტამბოლი.** პინკის ახლოს, სტამბოლიდგან 110 კილომეტრის მანძილზედ, გამოჩნდა მეამბოხეთა ჯუფთი; თუმც სტამბოლს არავითარი შიში არ მოელის, მაგრამ მაინც მიიღეს ღონისძიებანი ახლო-მახლო მიდამოების დასაცველად.

დაპატიმრებულ იქმნენ საეჭვო ბულგარელები.

**ტრიპოლსი.** ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, მაკედონიაში გაგზავნილ ჯარებისთვის ცხენები იყიდონ.

**ნეაპოლი.** შუადღის დროს ვეზუვის ვულკანმა კვლავ აღმოუტევა აყარებელი ნაცარ-ტუტი, რომელმაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში 400 მეტრის სიშორე მანძილი გაიარა და გაჩერდა რკინის გზის სამავთულო სადგურიდგან 850 მეტრზედ. ჯერ-ჯერობით საშიში არა არის-რა.

**სტამბოლი.** ავსტრიის საელჩოს ნოტის საპასუხოდ პორტა აცხადებს, რომ ედიბ-ფაშას გარდა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აღმოსავლეთ რკინის გზათა დაცვა, კერძოდ ადრიანოპოლ-სტამბოლის გზისა, დაინიშნა კიდევ სალონიკის გზის დასაცველად სულეიმან-ფაშა. თავდასხმის ასაცილებლად გააძლიერეს სადგურების მცველთა რიცხვი. რადგანაც პორტამ ამ მოკლე ხანში მიიღო რამდენიმე მეგობრული დიპლომატიური რჩევა, ამიტომ უბრძანა სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო მოხელეთ, რომ შეიკავონ მაჰმადიანთა ფანატიზმი და ჯარს მცხოვრებნი არ დაარბევინონ. პასუხის მგებელნი ეს დაწესებულებანი იქნებიანო.

**სტამბოლი.** იმ ძალ-მომრეობის გამო, რომელიც ხდება სანჯაკში-კირიკილისეში, და რის გამოც მრავალნი მაჰმადიანნი თუ ქრისტიანნი სტამბოლში მიდიან, პორტა აპირებს მიჰმართოს დიდ სახელმწიფოებს და სოფიაშიც სერიოზულის საჩივრებით და თან უჩვენებს დასამტკიცებელს სურათებს იმისას, რომ ბულგარია არამც თუ ჯუფთის წინამძღოლებს უგზავნის აჯანყებულებს, არამედ ნივთიერადაც ეხმარება. ოსმალეთი აცხადებს, რომ ყოველივე ბრალს იყრის, თუ მოხდეს რამე.

**პარიჟი.** პარლამენტის პირველი კრება დანიშნული იყო 30 სექტემბერს, მაგრამ ერთის კვირით შეგვიანდება იტალიის მეფის მობრძანების გამო.

**სან-სებასტიანო.** იტალიის მეფემ დაათვალიერა რუსეთის ნაღმის მიმცემი გემები.

**სოფია.** პორტა ჩივის, რომ რამდენიმე აჯანყებული რაზმი ბულგარიის საზღვარს აქედ გამოვიდნენო; ამის გამო ბულგარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშით უბრძანა ადგილობრივ უფროს მოხელეებს სასტიკი ღონისძიება მიიღოთ, რომ რაზმები არ იწყობდნენ და საზღვარს არ გადადიოდნენ.

დიდმა მიტინგმა, რომელიც მაკედონიის ამბების გამო გაჰმართეს, მიიღო მთავრობის რეზოლუცია,—ბულგარიის ერმა ყოველი ღონისძიება უსდა მიიღონ, რომ რაც შეიძლება მალე შეწყვეტილ იქმნას ოსმალთა მხეცური მოქმედება მაკედონიაში.

აყარებელი ოსმალები, რომელნიც მეამბოხეთა ჯუფთებმა გააქციეს და უკუ-აგდეს, სტამბოლისაკენ მიეშურებიან. შეშფოთებულ ოსმალეთის მოხელეებმა არ იციან, რა ღონეს მიჰმართონ.

სულთანმა გამოიწვია რუმდი-ფაშა.

მაკედონიაში ოსმალები აწიოკებენ და სდევნიან მშვიდობიან და უდანაშაულო მცხოვრებთ.

### პეტერბურგის ბირჟა 12 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,92½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,27½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,35 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100½ გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთა ბანკისა | 95⅛ მყიდ. |
| % 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 445 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 338 წვ. გაყიდ |
| 5% გირავნ. მომგ ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა | 290¾ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 94¾ |
| 54½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| 4% ტფილ. სათავ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 92½ გაყ. |
| ½% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | |
| 6% ქუთ. სათ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 91 წვ. გაყ. |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9226 |
| ქციები. „ „ „ | — |
| „კასპიის ამხანაგობისა. | |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 380½ წვ. გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 188½ წვ. გაყ. |

### ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

### კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

### საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება. შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

### ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

| | |
|---|---|
| საათობით | 60 კ. |
| ერთგზობით | 30 „ |
| ქალაქიდგან ავლაბარში | 40 „ |
| ნავთლუღში | 50 „ |
| ავლაბრიდგან ნავთლუღს | 30 „ |
| ნათლუღიდგან ქალაქს | 40 „ |
| ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე | 50 „ |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 80 „ |
| ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს | 40 |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 1 მ. |
| ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე | 80 კ. |
| კრწანისის ბაღამდე | 80 „ |
| ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე | 80 „ |
| რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს | 60 „ |
| იქიდამ ნათლუღამდე | 1—20 |

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.


## განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

### სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის ფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

### — სტამბა —

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყოველ-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა.

### საბუღალტერო კლასები ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიურო არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი ზ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.